რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№161/თ

„28“ მაისი, 2019 წელი

ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარი კონსულტანტის, მოსამართლის თანაშემწის - II რანგის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 17 მაისის №1/47 გადაწყვეტილებით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს დაემატა რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარი კონსულტანტის, მოსამართლის თანაშემწის - II რანგის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა, ამდენად წარმოიშვა აუცილებლობა დამტკიცდეს ამ თანამდებობისთვის შესაბამისი სამუშაო აღწერილობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს პრეზიდენტის 2000 ქლის 27 ოქტომბრის № 466 ბრძანებულებით დამტკიცებული "რაიონული, საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ " დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარი კონსულტანტის, მოსამართლის თანაშემწის - II რანგის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის დამტკიცდეს სამუშაო აღწერილობა თანდართული დანართის სახით (დანართი №1);

2. ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 28 მაისიდან;

3. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს ყველა თანამშრომელს.

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს

თავმჯდომარე

დამტკიცებულია

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის

2019 წლის „28“ მაისის №161/თ ბრძანებით

დანართი №1

რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარი კონსულტანტის, მოსამართლის თანაშემწის - II რანგის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა

თანამდებობა: რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარი კონსულტანტი, მოსამართლის თანაშემწე - II რანგის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

უშუალო უფროსი: სასამართლოს მენეჯერი;

მიზანი: სასამართლო აქტების პროექტების მომზადება.

1. ამზადებს სასამართლოს გადაწყვეტილებების (განაჩენი, განჩინება, განკარგულება, დადგენილება) პროექტებს ტექნიკური და დემოგრაფიული მონაცემების სიზუსტის დაცვით;
2. დროულად შეაქვს ცვლილებები და დამატებები საპროცესო დოკუმენტების სტანდარტულ ფორმებში, გადაწყვეტილებების პროექტებში შემდგომში შეცდომის თავიდან აცილების მიზნით;
3. მოსამართლის დავალებით, განსახილველ საქმეზე კრებს და აწვდის ქართული სასამართლო პრაქტიკის, ასევე ადამიანის უფლებებთან და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებულ მასალებს;
4. კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს ხელმძღვანელთა ცალკეულ დავალებებს;
5. ასრულებს სამუშაოსთან დაკავშირებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.